სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

1. შესავალი დებულებები

მიზანი

წინამდებარე პოლიტიკის მიზანია, შექმნას შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო კომპანიის საქმიანობის ყველა სფეროში, კერძოდ:

- უსაფრთხოების შესაბამისი სისტემების, რისკების გამოვლენისა და შემცირების, პროცესების მუდმივი მონიტორინგის დანერგვის უზრუნველყოფა;
- სწავლების, ინსტრუქტაჟების, ჯანმრთელობის დაცვისა და სამუშაო პირობების უზრუნველყოფა;
- ანალიზის საფუძველზე, შრომის უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტაციის ინიცირება და მომზადება.

დოკუმენტებთან კავშირი

წინამდებარე პოლიტიკა შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

მოქმედების სფეროს განსაზღვრა

წინამდებარე სახელმძღვანელო განსაზღვრავს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა პრინციპულ დებულებებს, შესაბამისად მისი მოქმედება ვრცელდება კომპანიის ყველა თანამშრომელზე, სამუშაოს სპეციფიკის, კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის შესაბამისად.

2. ძირითადი ტერმინების განმარტება და შემოკლებები

- სამუშაო სივრცე – ყველა სამუშაო ადგილისა და იმ ტერიტორიის ერთობლიობა, სადაც დასაქმებული და სხვა პირი იმყოფებიან/გადაადგილდებიან სამსახურებრივი დანიშნულებით და რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ დამსაქმებელი აკონტროლებს.
- რისკის შეფასება – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ მეთოდოლოგიას და მოიცავს სამუშაო სივრცეში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას.
- კომპანია - სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“.

3. კომპანიის შრომის უსაფრთხოების ძირითადი მიმართულებები

კომპანიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა ორიენტირებულია სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის ISO 45001:2018 სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე და შესაბამისი მართვისა და რეაგირების უზრუნველყოფის ფარგლებში აერთიანებს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ნორმების და წესების მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა;
- კომპანიის შიდა მმართველობითი დოკუმენტების წარმოება საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად;
- კომპანიის პერსონალისათვის მათი სამუშაოს შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებისა და კომპანიაში არსებული მმართველობითი დოკუმენტების გაცნობა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- შრომის უსაფრთხოების სფეროში კომპანიის პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება მათ შრომით უფლება-მოვალეობებთან;
- კომპანიის პერსონალისათვის თეორიული / პრაქტიკული სწავლებების ჩატარება და ცოდნის/უნარ-ჩვევების შემოწმება, როგორც შრომითი ურთიერთობის დასაწყისში, ასევე შემდგომ პერიოდში;
- შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის, მისი ცალკეული მიმართულებების ჩამოყალიბების, დაგეგმვის, დანერგვის, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესში კომპანიის სხვადასხვა დონის და ფუნქციის მქონე თანამშრომლების, მათი წარმომადგენლების თანამონაწილეობის და მათთან კონსულტაციის უზრუნველყოფა;
- შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვის მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისი რეაგირება, დისციპლინარული წახალისებით ან პასუხისმგებლობის დაკისრებით;
- სამუშაო სივრცეში რისკების შეფასება, შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად და რისკების შემცირების ღონისძიებების გატარება;
- სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური და საშიში შემთხვევების, პროფესიული დაავადებების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება. გამომწვევი და ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების დროული და ეფექტური უზრუნველყოფა;
- შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი;
- სამუშაო პირობების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა: მათ შორის სამუშაო დროის ნორმების დაცვა, სამუშაოს ხანგრძლივობის შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვა; ფიზიკური,

ქიმიური, ბიოლოგიური ფაქტორების მონიტორინგი და დასაქმებულების და/ან სხვა პირების ინფორმირება რისკებისა და მათი გავლენის თავიდან აცილების/შემცირების გზების შესახებ;

- დასაქმებულთა პერიოდული სამედიცინო შემოწმება, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად.

რისკების მართვა

- რისკის მართვა წარმოადგენს ორგანიზაციის სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს;
- რისკის მართვის მთავარი ამოცანაა განხორციელდეს საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების განსაზღვრა და შეფასება, რისკების შემამცირებელი ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება, მიღებული მონაცემების აღრიცხვა-ანგარიშგება, მუდმივი მონიტორინგი და მართვის პროცესების მუდმივი სრულყოფა;
- რისკის მართვის საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნას შრომის უსაფრთხოების საკითხებში პოტენციური დადებითი თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს ორგანიზაციის საქმიანობაზე.

პერსონლის სწავლება

- კომპანია უზრენველყოფს შრომის უსაფრთხოების სასწავლო პროგრამების შემუშავებას;
- დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიზნით, კომპანია უზრუნველყოფს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ამაღლებისთვის თეორიული/პრაქტიკული სწავლებების ჩატარებას და ცოდნის/უნარ-ჩვევების შემოწმებას, მათ შორის დისტანციურად.

მონიტორინგი

კომპანია უზრუნველყოფს კონტროლს:

- პერსონალის მიერ საქართველოში მოქმედი შრომის უსაფრთხოების და სახანძრო უსაფრთხოების საკითხებში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულებაზე;
- სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოების მიწერილობების შესრულებაზე;
- პერსონალის შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესების პირობებისთვის გამოყოფილი საშუალებების სწორად განკარგვაზე.

4. დასკვნითი დებულება და დანართები

სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელების მონიტორინგს უზრუნველყოფს კომპანიის შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი.

წინამდებარე პოლიტიკის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მმართველობითი დოკუმენტების სისტემით დადგენილი წესის შესაბამისად.